UN GLOBAL COMPACT

Network Georgia

პროგრესის **ანგარიში** 2020



გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი

ადამიანის უფლებები

1 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და

2 ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.

შრომითი უფლებები

3 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრების და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ

4 უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა.

5 ეფექტურად უნდა აღკვეთოს ბავშვთა შრომა.

6 უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე და თანამშრომლების მიმართ.

გარემოს დაცვა

7 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი.

8 თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას.

9 უნდა წაახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.

კორუფციასთან ბრძოლა

10 ბიზნესმა უნდა იმუშავოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ. ფულის გამოძალვის და მექრთამეობის ჩათვლით.

ვინ ვართ ?
რას გთავაზობთ?
რას ვაკეთებთ?

SDG AMBITION

ACCELERATOR

2020 იყო გამოწვევებით სავსე წელი ბიზნეს სექტორისთვის საქართველოში.

კომპანიები მსოფლიოს მასშტაბით ებრძოდნენ COVID-19 პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, თუმცა არსებულმა ვითარებამ, ასევე, უკეთ დაანახა ბიზნეს სექტორს სოციალური კეთილდღეობის მნიშვნელობა ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის. ჩვენ გავიაზრეთ, რომ ბიზნესის წარმოების ტრადიციული მეთოდები აღარ არის რელევანტური და მისაღები დღევანდელ მსოფლიოში.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელში, კოვიდის პირობებში, ვცდილობდით აქტიურად დავხმარებოდით ჩვენს წევრებს, და ხელს ვუწყობდით მათ ოპერაციების ტრანსფორმაციაში კორპორაციული მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

2020 წლის მნიშვნელოვან მიღწევებს ანგარიშში გაეცნობით, თუმცა რამდენიმეს აქაც გამოვყოფდი:

ჩვენ დავეხმარეთ საქართველოს მთავრობას ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის პროცესისთვის **„მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში ბიზნესის კონტრიბუციის ანგარიშის“** მომზადებაში.

2020 წელს საქართველოში მესამედ ჩავატარეთ **კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს ცერემონია** და კონკურსისთვის მივიღეთ პროექტების უპრეცედენტო რაოდენობა - 74 აპლიკაცია კომპანიებისგან და მედია საშუალებებისგან.

2020 წელს **43-მა ორგანიზაციამ ხელი მოაწერა გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპს** და შეუერთდა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს. პლატფორმაში წევრების რაოდენობის ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, თუ გავითვალისწინებთ COVID-19 პანდემიით გამოწვეულ კრიზისულ ვითარებას ქვეყანაში.

ჩვენ ხელი მოვაწერეთ **თანამშრომლობის ხელშეკრულებას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC)**, რათა ერთობლივად წავახალისოთ საქართველოში, ბიზნეს სექტორში, მდგრადი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიდგომები. IFC-სთან მჭიდრო თანამშრომლობა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის **კორპორაციული მდგრადობის აკადემიის** ფარგლებშიც გაგრძელდება.

რომ შევაჯამოთ, 2020 წლის ბევრი გამოწვევის მიუხედავად, ბიზნეს სექტორთან ერთად, შევძელით და მივაღწიეთ გლობალური შეთანხმების პლატფორმის ზრდას საქართველოში და უფრო მდგრადი მიდგომების დანერგვას ჩვენს საბაზრო ეკონომიკაში. ჩვენ გვჯერა, რომ მდგრადობა არის გამოსავალი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კრიზისიდან, ჩვენ კი დღეს უკვე სწორ გზაზე ვდგავართ.

სალომე ზურაბიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

ვინ ვართ ჩვენ?

გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) მსოფლიოში კორპორაციული მდგრადობის ყველაზე დიდი ინიციატივაა, რომელიც ხელს უწყობს ხალხისთვის, საზოგადოებისა და ბაზრისთვის მდგრადი და ინკლუზიური გლობალური ეკონომიკის შექმნას.

აღნიშნულის მისაღწევად, გაეროს გლობალური შეთანხმება მოუწოდებს ბიზნესს, რომ:

(1) განახორციელოს საკუთარი საქმიანობა ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოსა და კორუფციასთან ბრძოლის ათი პრინციპის შესაბამისად;

(2) განახორციელოს სტრატეგიული ქმედებები უფრო ფართო საზოგადოებრივი მიზნების განსავითარებლად, ისეთების, როგორიცაა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, განსაკუთრებით, თანამშრომლობისა და ინოვაციის ნაწილში.

ამჟამად, გაეროს გლობალური შეთანხმება აერთიანებს 160-მდე ქვეყანაში დაფუძნებულ 12 000-ზე მეტ კომპანიასა და, დაახლოებით, 4 000 არასამეწარმეო პირს.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (GCNG) წარმოადგენს გაეროს გლობალური შეთანხმების პლატფორმის ადგილობრივ ქსელს.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მისიაა მდგრადი მიდგომების სტიმულირებითა და ბიზნესის ჩართულობით პროგრესული მომავლის შექმნა; საქართველოში, გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის მხარდაჭერა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში წვლილის შეტანა.

2020 წელს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის საქმიანობა მხარდაჭერილი იყო შვედეთის მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, ACCESS პროგრამის ფარგლებში. ასევე, 2020 წელს ახალ თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამასთან.

GCNG BOARD

ლევან ახვლედიანი

აღმასრულებელი დირექტორი
Orient Logic

გამგეობის თავმჯდომარე
GCNG

რუსუდან მექმარიაშვილი

CSR მენეჯერი
BP საქართველო

თინათინ სტამბოლიშვილი

კორპორაციული კომუნიკაციების დირექტორი
ჯიპიაი ჰოლდინგი

სალომე ზურაბიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

გივი ბერიძე

დამფუძნებელი
Edison Tech Solutions

ეკატერინე ჟვანია

აღმასრულებელი დირექტორი
GEPRA

მაია ქობალია

გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის სამსახურის ხელმძღვანელი
კრისტალი

ჯორჯ ველტონი

აღმასრულებელი დირექტორი
ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში

მაია შიშნიაშვილი

დირექტორი
ინოვა მენეჯმენტ კონსალტინგი

GCNG TEAM

სალომე ზურაბიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ბაკურ კვარაცხელია

პროექტებისა და ფონდების მოძიების მიმართულების ხელმძღვანელი

ლანა ჩხარტიშვილი

მთავრობასთან ურთიერთობისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი

რატი ზაუტაშვილი

ბიზნესთან ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელი

სოფო ხუჭუა

ბიზნესთან ურთიერთობის მენეჯერი, შრომითი ურთიერთობების კონსულტანტი



შორენა მეგრელიშვილი

ფონდების მოძიების კონსულტანტი



ნინო კვანტრიშვილი

მდგრადობის საკითხებისა და პარტნიორობის მიმართულების ხელმძღვანელი

თემურ ტყეშელაშვილი

ფინანსური მენეჯერი

ნუგზარ გურული

ბუღალტერი

ანა დგებუაძე

ადმინისტრაციული მენეჯერი

ეთუნა ცოტნიაშვილი

სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელი



რას გთავაზობთ?

გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი წარმოადგენს კორპორაციული პასუხისმგებლობის ეთიკურ და პრაქტიკულ ჩარჩოს, კომპანიის ზომის, ფორმისა და საქმიანობის სფეროს მიუხედავად. შესაბამისად, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელში გაწევრიანება კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს გააზიარონ გამოცდილება, მიიღონ ცოდნა და მხარდაჭერა სოციალური, გარემოსდაცვითი და მმართველობითი მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით.

გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, წევრი კომპანიების აღმასრულებელი დირექტორების 93%-ი მიიჩნევს, რომ კორპორაციული მდგრადობა კომპანიის წარმატებული მომავლის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს 160 ქვეყანაში არსებული გლობალური შეთანხმების ქსელი/წარმომადგენლობა აცნობს ადგილობრივ კომპანიებს მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტებს, უზიარებს რესურსებსა და გამოცდილებას და ეხმარება მათ ბიზნესისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო ინიციატივების განხორციელებაში.

2020 წელს, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა შეიმუშავა საწევრო პაკეტები, რომლის საშუალებითაც, ნებისმიერ კომპანიას, მიუხედავად ზომისა თუ შემოსავლისა, საშუალება აქვს გახდეს გლობალური შეთანმების მონაწილე და მიიღოს მასზე მორგებული, კომპანიისთვის სასარგებლო რესურსები და ინდივიდუალური კონსულტაციები კორპორაციულ მდგრადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამჟამად, GCNG საქართველოში არსებულ კომპანიებს 4 პაკეტს სთავაზობს; კომპანიას შეუძლია გახდეს ძირითადი ან კორპორატიული პაკეტის ხელმომწერი, ან გლობალური მონაწილე.

		ხელმომწერი			
		ძირითადი	კორპორატიული	არაკომერციული	გლობალური მონაწილე
1. განათლება და ცნობიერების ამაღლება					
პრაქტიკული სახელმძღვანელო და ინსტრუმენტები:	მიიღებთ წვდომას გლობალური შეთანხმების მსოფლიო დონის ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე.	✔	✔	✔	✔
	გაეცნობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების მიერ მომზადებულ 73 000-ზე მეტ არაფინანსურ ანგარიშს.	✔	✔	✔	✔
	გამოიყენებთ თვითშეფასებისთვის საერთაშორისო ინსტრუმენტებს კორპორაციული მდგრადობის სხვადასხვა თემატური მიმართულებით.	✔	✔	✔	✔
შესაძლებლობების განვითარება	დაესწრებით გაეროს გლობალური შეთანხმების აკადემიის ონლაინ ლექციებს.				✔
	გაიღრმავებთ ცოდნას ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების საკითხებზე.		✔		✔
	დაესწრებით საერთაშორისო თუ ადგილობრივ ღონისძიებებსა და კონფერენციებს.	✔	✔	✔	✔
	დაესწრებით საერთაშორისო ექსპერტების თემატურ მასტერკლასებს.		✔	✔	✔
	გაივლით ტრენინგებს გაეროს ათი პრინციპის სხვადასხვა თემატურ საკითხზე.	✔	✔	✔	✔
ადგილობრივი ქსელის ექსკლუზიური შეთავაზება	უფასოდ მიიღებთ კორპორაციული მდგრადობის ჟურნალს „Sustainability Spotlight" წლის განმავლობაში.		✔		✔
	ისწავლით საქართველოში, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის კორპორაციული მდგრადობის აკადემიაში, კორპორაციული მდგრადობის სასერტიფიკატო კურსზე.	20% off	50% off	20% off	100% off

		ხელმომწერი			
		ძირითადი	კორპორატიული	არაკომერციული	გლობალური მონაწილე
2. სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა და პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ჩართულობა					
სახელმწიფო პოლიტიკა	მიიღებთ განახლებულ ინფორმაციას, საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე, კორპორაციული მდგრადობის თემაზე არსებული სიახლეების შესახებ.	✔	✔	✔	✔
თემატური სამუშაო ჯგუფი	ჩაერთვებით სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ თემატურ სამუშაო ჯგუფებში და ღონისძიებებში.	✔	✔	✔	✔
მთავრობასთან თანამშრომლობა	ითანამშრომლებთ სახელმწიფო უწყებებთან მდგრადი პროექტების გარშემო.	✔	✔	✔	✔
	წარმოაჩენთ ორგანიზაციის პროექტებს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მომზადებულ სახელმწიფო ანგარიშებში.	✔	✔	✔	✔
3. პარტნიორობის ხელშეწყობა					
მულტისექტორული თანამშრომლობა	დაამყარებთ ახალ პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივი და საერთაშორისო ქსელის სხვადასხვა ინდუსტრიისა და სექტორის წარმომადგენელთან.	✔	✔	✔	✔
	მონაწილეობას მიიღებთ სამუშაო ვიზიტებში ქსელის წევრ ორგანიზაციებში და ადგილზე გაეცნობით მათ მდგრად პრაქტიკას.		✔	✔	✔
	მიიღებთ ინდივიდუალურ მხარდაჭერას პარტნიორული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.		✔		✔
სამოქმედო პლატფორმები	მიიღებთ მონაწილეობას გაეროს გლობალური შეთანხმების საერთაშორისო ინიციატივებში და დაამყარებთ პარტნიორობას წამყვან ორგანიზაციებთან.	✔	✔		✔
	მიიღებთ მონაწილეობას გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებულ სამოქმედო პლატფორმებში..				✔

4. კონსულტაცია და ინდივიდუალური ტექნიკური მხარდაჭერა:		ხელმომწერი: ძირითადი	ხელმომწერი: კორპორატიული	ხელმომწერი: არაკომერციული	გლობალური მონაწილე
ინდივიდუალური მხარდაჭერა	გეყოლებათ პირადი ადგილობრივი კორპორაციული მდგრადობის მენეჯერი.		✔		✔
	გეყოლებათ პირადი საერთაშორისო კორპორაციული მდგრადობის მენეჯერი.				✔
	მიიღებთ პირად მენტორინგს კორპორაციული მდგრადობის სტანდარტებისა და მექანიზმების დანერგვის მიმართულებით.		✔		✔
	დაგეხმარებით „COP" წლიური ანგარიშის მომზადებაში.		✔		✔
	დაგეხმარებით „COE" ანგარიშის მომზადებაში.			✔	
	გაგიწევთ შუამავლობას მსოფლიოს 69 ქვეყნის ადგილობრივ ქსელთან და მათ წევრ კომპანიებთან.		✔		✔

#UnitingBusiness #SDGs #SustainableFuture #GlobalGoals #ResponsibleBusinessMatters #GlobalGoalsLocalBusiness

5. ორგანიზაციის წარმოჩენა და აღიარება		ხელმომწერი: ძირითადი	ხელმომწერი: კორპორატიული	ხელმომწერი: არაკომერციული	გლობალური მონაწილე
მედია მხარდაჭერა	მიიღებთ მედიაში ორგანიზაციის მდგრადობის მიმართულების საკომუნიკაციო ინსტრუმენტთა ნაკრებს (Media Toolkit).		✔		✔
	დაგეხმარებით, მედიაში, ორგანიზაციის წარმატებული მდგრადი პროექტების წარმოჩენაში.	✔	✔	✔	✔
	მიიღებთ „Sustainability Spotlight" ჟურნალში ორგანიზაციის წარმოჩენის შესაძლებლობას.	✔	✔	✔	✔
კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო	მიიღებთ მონაწილეობას კორპორაციული პასუხისმგებლობის ყოველწლიურ დაჯილდოებაში „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის".	✔	✔	✔	✔
თანამშრომლის აღიარება	მიიღებთ ორგანიზაციის თანამშრომლის გლობალურ დონეზე აღიარების შესაძლებლობას (SDG Pioneer).	✔	✔	✔	✔
	მიიღებთ ორგანიზაციის ახალგაზრდა ნოვატორი თანამშრომლების გლობალურ დონეზე აღიარების შესაძლებლობას.	✔	✔	✔	✔
	გექნებათ შესაძლებლობა შეუერთდეთ გლობალური შეთანხმების შიდა ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფს.				✔
საერთაშორისო აღიარება	გახდებით მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული ორგანოს - გაეროს გლობალური ინიციატივის ხელმომწერი და ქსელის წევრი.	✔	✔	✔	✔
	წარმოჩინდებით ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, როგორც საერთაშორისო სტანდარტებით მოქმედი კომპანია.	✔	✔	✔	✔
	გექნებათ პირადი, გამორჩეული პროფილი გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე.				✔
	მიიღებთ გლობალური შეთანხმების მხარდამჭერის ლოგოს გამოყენების შესაძლებლობას.	✔	✔	✔	✔

მენტორინგის პროგრამა კომპანიებისთვის

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი კომპანიებს მათ საჭიროებებზე მორგებულ მენტორინგის პროგრამას სთავაზობს.

აღნიშნული შეთავაზებით უკვე ისარგებლა 15-მდე კომპანიამ, რომლებმაც ორგანიზაციისგან უსასყიდლოდ მიიღეს მენტორინგის პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერა, მათ შორისაა: გაგუას კლინიკა, დიო, კრისტალი, MBC, ეფეს საქართველო, RSM Georgia, Orient Logic, სოციალური საწარმო ,,კოდალა", სერვიე საქართველო, ვოიაჟერი, ზენიტ ჯგუფი.

აღსანიშნავია, რომ GCNG კომპანიებს მენტორინგს ორი მიმართულებით სთავაზობს: შრომითი უფლებები და გარემოს დაცვა.

შრომითი უფლებების მიმართულებით, თანამშრომლობის ფარგლებში გამოიკვეთა კომპანიების საჭიროებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მაგ: საჩივრის მექანიზმის დანერგვა, დეკრეტული შვებულების პოლიტიკა, საბონუსე ანაზღაურების სისტემის დანერგვა, კომპანიის შინაგანაწესის შემუშავება, არსებული პოლიტიკის დოკუმენტების სრულად გადახედვა/ცვლილებები; ასევე მოხდა შრომითი კონტრაქტების ადაპტირება შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

გარემოს დაცვის მიმართულებით, მენტორინგი განხორციელდა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: კომპანიის თავდაპირველი გარემოსდაცვითი შეფასება, კომპანიის გარემოსდაცვითი საკითხების რეგულარული შეფასების კითხვარის წარმოება, კომპანიისა და კონტრაქტორების გარემოსდაცვითი საქმიანობის მონიტორინგის გეგმის შემუშავება, კომპანიის გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება, გარემოსდაცვითი ინციდენტების შეტყობინების პროცედურის შემუშავება.

პროგრამა 2021 წელსაც გაგრძელდება.



რას ვაკეთებთ?

2020 წლის მთავარი მიღწევები:

- GCNG-ის ფასილიტაციით შედგა საქართველოს მთავრობის, ბიზნესის, მედიისა და ადგილობრივი ორგანიზების სასწავლო ვიზიტი შვედეთსა და დანიაში; ვიზიტის ფარგლებში დამყარდა საქმიანი ურთიერთობები აღნიშნული ქვეყნების ბიზნესის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების 30-ზე მეტ წარმომადგენელთან;
- შემუშავდა ახალი ხუთწლიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;
- გაორმაგდა პლატფორმის წევრთა რაოდენობა;
- შემუშავდა კორპორაციული მდგრადობის აკადემიის კონცეფცია და სალექციო კურსისთვის გადამზადდნენ აკადემიური თანამშრომლები;
- შემუშავდა კონცეფცია კორპორაციული მდგრადობის თემატიკაზე საქართველოში პირველი ჟურნალისთვის „Sustainability Spotlight;"
- მომზადდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგში არსებული პროგრესის შესახებ ბიზნეს კონტრიბუციის ანგარიში, რომელიც თანდართულია, მთავრობის მიერ მომზადებულ ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვაზე (Voluntary National Review) და განთავსებულია გაეროს ვებგვერდზე;
- ჩატარდა კვლევები: COVID 19-ის გავლენა ბიზნესსექტორზე საქართველოში; სამოქალაქო სექტორის წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში; კერძო სექტორის წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში;
- დაიწყო თანამშრომლობა USAID-ის ACCESS-ის პროგრამასთან, რომელიც მდგრადი განვითარების დღის წესრიგის გათვალისწინებით სექტორებს შორის პარტნიორობებს შეუწყობს ხელს;
- დაიწყო თანამშრომლობა გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასთან (UNEP), რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს განავითარონ ეკოინოვაციური მიდგომები და იზრუნონ გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირებაზე;
- გაფორმდა 4 წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC);
- მომზადდა 2021-2030 წლების ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიისთვის სარეკომენდაციო პაკეტი ბიზნესი და ადამიანის უფლებების თემაზე;

- დამყარდა ახალი სტრატეგიული თანამშრომლობები თხილის მწარმოებელთა ასოციაციასთან და საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან;
- ჩატარდა ბიზნესისთვის 10 ვებინარი კრიზისის მართვასა და მდგრადი ბიზნეს საქმიანობის წარმართვის მიმართულებით COVID-19 პანდემიის ჭრილში;
- გაიმართა კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2020, რომელიც წინა წლებთან შედარებით საკონკურსო აპლიკაციების მნიშვნელოვანი ზრდით გამოირჩეოდა. კონკურსში გამოვლინდნენ გამარჯვებულები შვიდ კატეგორიაში;
- აირჩა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ახალი გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარე;
- ფასილიტაცია გაეწია 10-ზე მეტ პარტნიორულ პროექტს ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით;
- გაიზარდა მაყურებლის/მედიის ცნობიერება კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე და არსებულ საუკეთესო ბიზნეს პრაქტიკაზე წამყვან ბიზნესგადაცემებში (საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტვ პირველი) ახალი რუბრიკის შექმნის შედეგად;
- შედგა შეხვედრები საელჩოებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ახალი პარტნიორების მოძიებისა და თანამშრომლობის დამყარების მიზნით.
- მომზადდა 10-მდე ინფოგრაფიკი და საინფორმაციო პოსტერი საზოგადოებაში მდგრადი განვითარების მიზნებისა და კორპორაციული მდგრადობის სტანდარტების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ქსელის საერთო კრება და თემატური შეხვედრები

ყოველწლიური საერთო კრება

2020 წლის 16 ივლისს, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (GCNG) ორგანიზებით ყოველწლიური საერთო კრება გაიმართა.

ღონისძიების მონაწილეებს გაეროს გლობალური შეთანხმების ახალმა აღმასრულებელმა დირექტორმა სანდა ოჯიამბომ სიტყვით მიმართა, რომელმაც ხაზი გაუსვა პასუხისმგებლიანი ბიზნესის როლს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში და საქართველოს ქსელს წარმატება უსურვა.

GCNG-ის აღმასრულებელმა დირექტორმა სალომე ზურაბიშვილმა მიმოიხილა განხორციელებული აქტივობები და ქსელის წევრებს ორგანიზაციის საქმიანობა და მომავალი გეგმები გააცნო. აღსანიშნავია, რომ წელს წევრი კომპანიების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და ამჟამად ქსელს 80-მდე წევრი ჰყავს.

ღონისძიების ბოლოს გაიმართა ქსელის გამგეობის წევრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა 9 კომპანიის წარმომადგენელმა მიიღო. არჩევნების შედეგად გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს გამგეობის ახალი თავმჯდომარე და წევრები ჰყავს.

სამუშაო შეხვედრა გარემოსდაცვით საკითხებზე

გარემოსდაცვით საკითხებზე ქსელის მიერ ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის წევრები გაეცნენ კომპანიებში გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის დანერგვის საფეხურებს.

შეხვედრაზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკატერინე კისკეიძემ ისაუბრა გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის მიზნებსა და მექანიზმებზე, ასევე გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებსა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

GCNG-ის გარემოსდაცვითი მიმართულების კოორდინატორმა თამარ ლაზარაშვილმა წარადგინა ორგანიზაციის მიერ მომზადებული ის დამხმარე სახელმძღვანელოები/ინსტრუმენტები, რომლებიც გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრ კომპანიებს დაეხმარება გარემოს დაცვის სისტემის დანერგვასა და განხორციელებაში.

სამუშაო შეხვედრა შრომის უფლებებზე

შრომის უფლებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა, სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, იურიდიული კომპანია GLCC-ის დამფუძნებელს და დამსაქმებელთა ასოციაციის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს, შალვა ცხაკაიას უმასპინძლა. ცხაკაიამ ისაუბრა შრომის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების პაკეტის შესახებ და განმარტა, თუ რა გავლენას მოახდენს ბიზნესზე აღნიშნული ცვლილებები.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა მედიატორთა ასოციაციასთანაც. ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ისაუბრა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებზე, მედიაციის არსსა და მნიშვნელობაზე. ბიზნესისთვის მედიაციის შედარებით უპირატესობაზე დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ გზებთან მიმართებით. ასევე, ისაუბრა ბიზნეს სექტორში მედიაციის პროცესის გახსნა, მომზადება და მოლაპარაკების წარმატებით დასრულების სქემებზე.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ინიციატივის წევრ კომპანიებს სთავაზობს უფასო დახმარებას/ქოუჩინგს მათ კომპანიებში შრომითი უფლებების განვითარების მიმართულებით.

სტრატეგიული დაგეგმარების შეხვედრა

25-27 ივნისს, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდმა, კონსულტანტ ნინო ბერუაშვილთან ერთად, სტრატეგიული დაგეგმარების შეხვედრა გამართა და უახლოესი ერთი წლის სამოქმედო გეგმა და ხუთწლიანი სტრატეგია გაწერა.

სამუშაო შეხვედრაზე ორგანიზაციამ განიხილა თუ როგორ გააუმჯობესოს საქმიანობა სამიზნე ჯგუფებსა და დაინტერესებულ მხარეებთან; შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი საკომუნიკაციო არხების გაძლიერების შესაძლებლობებს დაეთმო. შედეგად, 2020 წელს ორგანიზაციამ შეიმუშავა ახალი მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ძალაში 2025 წლამდე იქნება.

გამოწვევებით სავსე წელი შეაჯამა ორგანიზაციამ, გუნდთან და გამეგობის წევრებთან ერთად, გასვლით შეხვედრაზე, ნოემბერში. სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო სამომავლო ნაბიჯები, სამოქმედო გეგმა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავზარდოთ ცნობადობა კორპორაციული მდგრადობის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს სამიზნე ჯგუფებში. ამავე დროს, გუნდმა იმსჯელა ბიზნესისთვის შესათავაზებელ ახალ ინიციატივებზე, რომლებიც მომავალი წლიდან შევა ძალაში.

სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო სამომავლო ნაბიჯები, სამოქმედო გეგმა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავზარდოთ ცნობადობა კორპორაციული მდგრადობის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს სამიზნე ჯგუფებში, გუნდმა იმსჯელა ბიზნესისთვის შესათავაზებელ ახალ ინიციატივებზე, რომლებიც მომავალი წლიდან შევა ძალაში.

სკანდინავიური დღიურები - სასწავლო ვიზიტი

სასწავლო ტური შვედეთში

2020 წლის 10-14 თებერვალს მოეწყო სასწავლო ვიზიტი შვედეთში. მთავრობის, ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლები გაეცნენ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და შვედეთში არსებულ კორპორაციული პასუხისმგებლობის პრაქტიკას.

10 თებერვალი - დელეგაციამ შეხვედრა გამართა შვედეთის CSR–ის ელჩთან, პერ ალბერგერთან და სხვა საკითხებთან ერთად განიხილა ის საქმიანობა, რომელსაც გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ეწევა საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის მისაღწევად. იმავე დღეს, ვიზიტის მონაწილეები ეწვივნენ მდგრადი, ეკომეგობრული მიდგომებით დაგეგმარებულ უბანს სტოქჰოლმში, სადაც ეკომეგობრული მიდგომებით აშენებულ თანამედროვე მეთოდებს გაეცნენ; მოგვიანებით, საქართველოს საელჩოსთან ერთად, ორგანიზაციამ დელეგაციას უმასპინძლა საქართველო-შვედეთის მეგობრობის აღსანიშნავად გამართულ მიღებაზე.

11 თებერვალი - ტურის მეორე დღეს დელეგაცია ეწვია Sida-ს - შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოსთან და საკუთარი რესურსებით ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას. დელეგაციის წევრები შეხვდნენ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული დეპარტამენტის წარმომადგენლებს და განიხილეს თანამშრომლობის სამომავლო შესაძლებლობები. გუნდი ასევე შეხვდა ვაჭრობისა და პოლიტიკის შემუშავების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მაიკლ კოხს, შემდეგ კი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტოს, სადაც შვედეთის ჯანმრთელობის პოლიტიკისა და დაზღვევის პირობებს გაეცნენ.

12 თებერვალი - ტურის მესამე დღე დაიწყო თელიას მრჩეველთან, პატრიკ ჰისელიუსთან შეხვედრით, რომელმაც ისაუბრა კომპანიის მდგრადობის პოლიტიკის შესახებ და კორპორაციული პასუხისმგებლობის ნაწილში კომპანიის მიდგომებზე. ვიზიტი გაგრძელდა შვედეთის სამეფოს სოფლის მეურნეობისა და სატყეო აკადემიაში და შვედეთის ეკონომიკური და რეგიონული ზრდის სააგენტოში, სადაც დელეგაცია გაეცნო პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადი განვითარების დანერგვას ქვეყანაში და ზოგადად, მსოფლიოში.





დელეგაციის წევრები ასევე შეხვდნენ მდგრადი განვითარების ჟურნალ «Aktuell H Allbarhet» - ის მთავარ რედაქტორს. რედაქტორმა მიქაელ სალომ, კომპანიის მდგრადობის ჯგუფთან ერთად განიხილა მდგრადობის მნიშვნელობა, SDG მიზნების განხორციელების აუცილებლობა და კომპანიის ხედვა გრძელვადიან პერსპექტივაში - 2025 წლისთვის იყოს წამყვანი მდგრადი მედია კომპანია.

13 თებერვალი - დელეგაცია შეხვდა შვედეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერს ოსა ლინდასტამს და სპიკერის მესამე მოადგილეს კერსტინ ლუნდგრენს. ქართული დელეგაცია ასევე ეწვია "შვედეთის ინსტიტუტს" (SI), სადაც განიხილეს გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარების შესახებ და ის გაცვლითი პროგრამები, რომლებსაც SI სთავაზობს საერთაშორისო სტუდენტებს.

14 თებერვალი - დელეგაცია შეხვდა კაროლა გუნარსონს, შვედეთის ადგილობრივი ხელისუფლებისა და რეგიონების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს (SALAR), რომელმაც ისაუბრა, თუ როგორ მუშაობს SALAR გაეროს 2030 დღის წესრიგთან დაკავშირებით. შვედეთის ჟურნალისტთა კავშირში გაიმართა შეხვედრა საერთაშორისო მდივანთან, ტოვე კარლენთან. კარლენმა ისაუბრა შვედეთის მედიის სტანდარტებზე და აუდიტორიას გააცნო პროფესიული ქცევის წესები. დელეგაციამ მოინახულა CSR შვედეთი და შეხვდა ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს, მარიანე ბოგელს. 2004 წელს შექმნილი CSR შვედეთი წამყვანი ქსელია შვედეთში, რომელიც სტიმულირებას უწევს ბიზნესებს აწარმოონ მათი საქმიანობა პასუხისმგებლიანი მიდგომების გათვალისწინებით.

ვიზიტის დასასრულს, GCNG-ის თანამშრომლებმა შეხვედრა გამართეს რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან, შვედეთის ქალაქ ლუნდში. GCNG–ის აღმასრულებელმა დირექტორმა სალომე ზურაბიშვილმა კოლეგებს გაუზიარა ინფორმაცია საქართველოში ბიზნესის და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო CR–ის პოპულარიზაციას და ვალენბერგის ინსტიტუტსა და CS აკადემიას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

სასწავლო ტური დანიაში

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის თანამშრომლებმა სამუშაო შეხვედრები დანიაში განაგრძეს.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაცია შეხვდა დანიის სამეფოში საქართველოს ელჩს გიგი გიგიაძეს, სადაც განხილულ იქნა საქართველოში დანიური მდგრადი ინვესტიციების მოზიდვის მაღალი პოტენციალი, მათ შორის სუფთა და განახლებადი ენერგია, რაშიც საქართველო ლიდერია რეგიონში.

GCNG-ის წარმომადგენლებმა ასევე გამართეს შეხვედრა დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) წარმომადგენლებთან, რათა განეხილათ დანიის სამეზობლო პროგრამის მიერ საქართველოს მხარდაჭერა. კოპენჰაგენში ვიზიტი კომპანია Maersk-ში გაგრძელდა, კომპანიის მდგრადობისა და ანგარიშგების ხელმძღვანელმა ისაუბრა თუ როგორ არის Maersk-ი, დანიის უდიდესი სატრანსპორტო და ლოჯისტიკური კომპანია, გლობალური მდგრადობის დღის წესრიგში ჩართული და რა არის კომპანიის სტრატეგია SDG დღის წესრიგის წარმატებით განსახორციელებლად.

კოპენჰაგენში დელეგაციამ ასევე მოინახულა დანიის გლობალური შეთანხმების ქსელი და ქსელებს შორის აქტიური მუშაობისა და ერთობლივი პროექტების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელსაც GCNG-ის წარმომადგენლები დაესწრნენ, გაიმართა დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტთან, რომელიც 90-იანი წლების ბოლოდან მუშაობს ბიზნესსა და ადამიანის უფლებებს შორის ურთიერთკავშირზე. ამ შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოში ბიზნესის და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული ვითარება, გამოწვევები და შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობები.

სასწავლო ვიზიტის ბოლოს დელეგაცია ეწვია დანიის კლიმატისა და ენერგეტიკის სააგენტოს, რომელიც ხელს უწყობს დანიის მთავრობის გაძლიერებულ მცდელობას ენერგეტიკისა და კომუნალურ სფეროებში უსაფრთხოებისა და ეფექტურობის უზრუნველყოფისა და მწვანე და მდგრადი საზოგადოების პოპულარიზაციისათვის. იმის გამო, რომ საქართველოში ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის მაღალი პოტენციალია, GCNG-ის გუნდისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა კლიმატის ეროვნული პოლიტიკა, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები კლიმატის ცვლილებისა და ენერგიის დაზოგვის საკითხებზე.

ახალი პარტნიორები და თანამშრომლობის შესაძლებლობები

თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან

გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მართვის - ESG პრაქტიკის პოპულარიზაციის მიზნით, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ოთხწლიანი პარტნიორობის შედეგად, საქართველოში შეიქმნება პირველი ESG სახელმძღვანელო, და ჩატარდება სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები ქართული კომპანიებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის ESG სტანდარტების დანერგვის უპირატესობებზე. თანამშრომლობის ფარგლებში, IFC უზრუნველყოფს ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერებას ESG საკითხებთან დაკავშირებით, ტრენერთა ტრენინგების საშუალებით.

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად დაეხმარება გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს გააფართოოს თავისი დღის წესრიგი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, ქართული ბიზნესებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართულობით.

IFC ახორციელებს თავის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის პროგრამას ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ეკონომიკის საკითხებში შვეიცარიის სახელმწიფო სამდივნოსთან, SECO-სთან პარტნიორობით.

მდგრადი ფერმერული მეურნეობების მხარდაჭერა

2020 წელს, ორგანიზაციისთვის საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციასთან ერთად მდგრადი მეურნეობის სტანდარტების დამკვიდრება პრიორიტეტული გახდა. თხილის 21000-ზე მეტი მწარმოებელი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან (სამეგრელო, გურია, იმერეთი, აჭარა, კახეთი) გაერთიანებულია, რათა გააძლიერონ სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკა ყოველდღიურად თხილის მოსავლის ხარისხისა და მოცულობის გაუმჯობესების გზით. ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, GCNG-ის მიერ

შემუშავდება ეთიკის კოდექსი მდგრადი ფერმერული მეურნეობების სტანდარტების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ინფორმირებულობის გაზრდას საქართველოში უფრო ეკომეგობრული სტანდარტებისა და მიდგომების თაობაზე.

პარტნიორობა საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან

2020 წელს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო, რომლის ფარგლებში ასოციაციამ საინფორმაციო შეხვედრები ჩაუტარა ბიზნესის წარმომადგენლებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის - მედიაციის შესახებ.

თანამშრომლობის ფარგლებში 10-მდე დისკუსია და ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც როგორც ქსელის წევრები, ისე ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრებში აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის წარმომადგენლები, პრემიერის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში ლელა აქიაშვილი და ბიზნესომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კვეტენაძე, რომლებმაც თავის მხრივ ყურადღება გაამახვილეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვასა და მედიაციის მექანიზმის მნიშვნელობაზე.

მედიატორების მიერ გამართულმა ტრენინგებმა ბიზნესის მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია. ტრენინგის თემები მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა მედიაციის ფორმები, მედიატორთა დანიშვნის წესები, დავებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტები და ის სერვისები, რომელსაც ასოციაცია ბიზნესს სთავაზობს; შეხვედრების მიმდინარეობისას განხილული იყო კონკრეტული ქეისებიც.

თანამშრომლობის ფარგლებში, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ მოამზადეს საინფორმაციო ბროშურა და ვიდეორგოლი მედიაციის მნიშვნელობის შესახებ.

მემორანდუმი ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელსა და ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა არჩილ ნიკოლეიშვილმა.

ურთიერთშეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) პრინციპების წახალისებას და პოპულარიზაციას. თანამშრომლობის ფარგლებში საფუძველი ჩაეყრება ESG შიდა პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან. ასევე განისაზღვრება ESG პოლიტიკის დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის საშუალებები, მათ შორის საინფორმაციო შეხვედრები.

თავის მხრივ, ეროვნული სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირების ჩართვას პოლიტიკის შემუშავებაში და პოლიტიკის დოკუმენტის მიღების შემდეგ - ESG მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას შიდა და გარე აქტორებთან. სააგენტო ასევე წაახალისებს პარტნიორ კომპანიებსა და ორგანიზაციებს, გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის დანერგვის მიზნით, გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივაში გაწევრიანებას.

მემორანდუმის შედეგად დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულებას.



ეკოინოვაციური მიდგომების პოპულარიზაცია საქართველოში

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელსა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო პროექტი “ეკოინოვაციური მიდგომების პოპულარიზაცია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში”.

თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოში, ბიზნეს სექტორში, ეკოინოვაციური მიდგომის დანერგვას ოპერაციულ დონეზე, კომპანიის ბიზნეს გეგმის შექმნისა და განხორციელების ეტაპზე. ამავდროულად, პროექტი კომპანიებს ისეთი მართვის მექანიზმების დანერგვაში დაეხმარება, რომლებიც გარემოზე უარყოფით ზეგავლენას შეამცირებს და მოსახლეობის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს.

პროექტი ხორციელდება პროგრამის ,,ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) ფარგლებში, რომელიც საქართველოში გასულ წელს დაიწყო. პროგრამა აერთიანებს საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანას. იგი ხელს უწყობს ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებას და გარემოსდაცვითი კეთილდღეობის გაზრდას. პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია მცირე და საშუალო საწარმოებში ეკოინოვაციების, რესურსეფექტური ტექნოლოგიებისა და სუფთა წარმოების მიდგომის დანერგვა და წახალისება.

2020 წლის ბოლოს, პროექტის ფარგლებში, ჩატარდა პირველი საინფორმაციო ღონისძიება, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისა და მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით. სემინარის მიზანი იყო UNEP-ის ეკოინოვაციის მეთოდოლოგიის გაცნობა და ამ მხრივ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა. სემინარზე განხილული იყო ეკოინოვაციების სფეროში არსებული გამოწვევები, შესაძლებლობები და საუკეთესო პრაქტიკა.

პროგრამა ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით ხუთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UN Environment Programme), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მსოფლიო ბანკი. პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანას (სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას) ფარავს.

მთავრობასთან თანამშრომლობა მიზნების მისაღწევად

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის მთავრობასთან აქტიურად მუშაობს, რათა შესრულდეს მდგრადი განვითარების დღის წესრიგით გათვალისწინებული მიზნები.

ორგანიზაცია აქტიურად ერთვება მთავრობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რათა ხელი შეუწყოს ადგილზე მდგრადი განვითარების დღის წესრიგს. ორგანიზაცია ფასილიტაციას უწევს შეხვედრებს პროფესიული კავშირების დასამყარებლად და ეხმარება ინდუსტრიის ლიდერებს შეხვდნენ გაეროსა და მთავრობის წარმომადგენლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

2020 წელს, ამ მიმართულების ძირითადი ფოკუსი მოიცავდა თანამშრომლობას შემდეგ უწყებებთან: ადამიანის უფლებათა საბჭო, მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო, მთავრობის ადმინისტრაცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო საწარმოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (მათ შორის: საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA), აწარმოე საქართველოში, ეროვნული სატყეო სააგენტო).

2020 წელს ორგანიზაციის თანამშრომლობა ნაყოფიერი აღმოჩნდა ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან, SDG საბჭოსა და სხვა სამიზნე სტრუქტურებთან, როგორებიცაა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა 2018-2020 წლის ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმის განხორციელებას სხვადასხვა ონლაინ ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზებით, საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ქვეთავის გათვალისწინებით.

2021 წლის თებერვალში დამტკიცდება ადამიანის უფლებათა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელშიც GCNG-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი რეკომენდაციებით

იმისათვის, რომ ბიზნესისა და ადამიანის უფლებების თავი დამატებოდა ახალ 9-წლიან ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებული მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს მხარდაჭერით, 2020 წელს GCGN-ის მიერ მომზადდა ორი კვლევა: (1) კერძო სექტორის წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ საქართველოს 2020 წლის ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვაში და (2) არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორის წვლილი ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვაში. კვლევის მიზანი იყო მონაცემების შეგროვება იმის შესახებ, თუ რამდენად ითვალისწინებენ ქართული ბიზნესები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მდგრადი განვითარების მიზნებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

2020 წლის 13 ივლისს საქართველოს მთავრობამ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს წარუდგინა ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში (VNR), რომელშიც წარმოდგენილი იყო კერძო სექტორში ჩატარებული კვლევის შედეგებიც. დანართი გაეროს ოფიციალურ ვებგვერდზეა www.sustainabledevelopment.un.org ხელმისაწვდომი საქართველოს 2020 წლის VNR ანგარიშთან ერთად.

მთავრობასთან საერთო მიზნების ირგვლივ თანამშრომლობით, ორგანიზაცია უზრუნველყოფს ბიზნესის ჩართულობას მაღალი დონის პოლიტიკულ ფორუმებზე, მათ შორის VNR ანგარიშებში, რომლებიც წარმოაჩენს კერძო სექტორის წვლილს SDG მიზნების მიღწევაში. მსგავსი პრაქტიკა, ერთი მხრივ ხელს უწყობს ბიზნესებს წარმოჩინდნენ მთავრობასთან ერთად საერთაშორისო ანგარიშებსა და შეფასებებში მსოფლიო დონეზე; მეორე მხრივ, კი ახალისებს კერძო სექტორს, რომ რაც შეიძლება მეტად მიაქციონ ყურადღება მდგრადი განვითარების მიზნების საქმიანობაში დანერგვას და მთავრობასთან თანამშრომლობით მიაღწიონ 2030 წლის დღის წესრიგის მიზნებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

2020 წელს დაიწყო სახელმწიფო საწარმოებისთვის ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე გზამკვლევის მომზადება, რომელიც 2021 წელს გამოიცემა; ამასთან ერთად, გრძელდება მუშაობა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ კვლევაზე, რეკომენდაციების პაკეტსა და სახელმწიფო მოხელეებისთვის ბიზნესსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ტრენინგზე.

ორგანიზაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაგეგმილია სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება, რაც ხელს შეუწყობს მთავრობის მიერ აღიარებული ისეთი საერთაშორისო ვალდებულებებისა და სტანდარტების ნაციონალიზაციის პროცესს, როგორებიცაა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დოკუმენტები, მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და მდგრადობასთან დაკავშირებულ სხვა სტანდარტები.

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

ლიდერთა სამიტი

ივნისში, გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ გამართულ ლიდერთა სამიტში საქართველოს წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

16 ივნისს გამართულ პანელურ დისკუსიაში „კლიმატის ცვლილება და გარდამავალი პერიოდი“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა მიიღო მონაწილეობა. მინისტრმა დისკუსიის მონაწილეებს წარუდგინა კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები. პანელური დისკუსიის სპიკერთა შორის იყო საქართველოში მზის პანელების მწარმოებელი კომპანიის AE SOLAR-ის გენერალური დირექტორი დურბეკ ფატახოვი.

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა კარგად გვაჩვენა ძლიერი ინსტიტუტების, გლობალური და ადგილობრივი პარტნიორობის აუცილებლობა. მსოფლიო უნდა გაერთიანდეს საერთო მიზნის გარშემო და ერთად ვიმუშაოთ უფრო სამართლიანი და მდგრადი მომავლისთვის. ლიდერთა სამიტზე გამართული მორიგი დისკუსია პრტნიორობის მნიშვნელობას მიეძღვნა. სპიკერთა შორის იყო ნინო ზამბახიძე, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი; ხოლო დისკუსიას მოდერაცია გაუწია Forbes Georgia-ს მთავარმა რედაქტორმა, გიორგი ისაკაძემ.

რეგიონული ფორუმი ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ

2020 წლის 23-25 ნოემბერს სტამბოლის გაეროს განვითარების პროგრამის ოფისისა და ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით რეგიონული ფორუმი გაიმართა. ფორუმის ფარგლებში განხილულ იქნა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სფეროში განვითარებადი ტრენდები, შესაძლებლობები და გამოწვევები რეგიონულ და გლობალურ დნეზე.

23 ნოემბერს, ფორუმის პირველ სესიაზე- “მაღალი დონის გამხსნელი პლენარული სხდომა,”- სიტყვით გამოვიდა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი სალომე ზურაბიშვილი. მან ისაუბრა ბიზნესებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ორგანიზაციის 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, როგორც კომპანიები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები ნეგატიურად არიან განწყობილნი ურთიერთთანამშრომლობის პროექტების მიმართ, მიზეზად კი ისინი ნდობისა და გამჭვირვალობის ნაკლებობას ასახელებენ. სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია არასამთავრობო ორგანიზაციებმა არა მხოლოდ მიუთითონ კომპანიებს გამოწვევებზე, არამედ დაეხმარონ მათ ადამიანის უფლებებზე კონცენტრირებული სამუშაო სტრატეგიების შემუშავებაში. ამასთან უმნიშვნელოვანესია მთავრობის როლიც, რომელმაც უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს ბიზნეს სფეროში ადამიანის უფლებების მხარდასაჭერი პოლიტიკის განსაზღვრაზე.

სალომე ზურაბიშვილმა მონაწილეობა მიიღო ფორუმის დასკვნით სხდომაშიც, რომელზედაც მან განიხილა საქართველოში ბოლო წლებში არსებული დადებითი ტენდენციები ადამიანის უფლებების მიმართ კორპორაციული პასუხისმგებლობის ზრდის მხრივ. გამოსვლაში ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად პროგრესისა, გამოწვევები რჩება, მათ შორის კი ერთ-ერთი ყველაზე მთავარია კომპანიებში ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ნაკლებობა და მთავრობის მხრიდან ძალისხმევის ნაკლებობა კომპანიებში მსგავსი მექანიზმების დასანერგად. ზურაბიშვილის თქმით, გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებში გაეროს პრინციპებისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ განათლების გაძლიერება, გააქტიურებული მუშაობა მთავრობასთან, წარმატებული გამოცდილების გაზიარება, პრინციპების დანერგვის პრაქტიკული სარგებლის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მრავალხმრივი პარტნიორული პროექტების მხარდაჭერა.

COVID-19 და ქალების ეკონომიკური გაძლიერება ევრაზიაში

საერთაშორისო კერძო მეწარმეობის ცენტრის (CIPE) ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე: Covid-19 და ქალების ეკონომიკური გაძლიერება ევრაზიაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სპიკერებმა საქართველოდან, ყირგიზეთიდან და უზბეკეთიდან. სპიკერთა შორის იყო გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მთავრობასთან ურთიერთობისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელი ლანა ჩხარტიშვილი.

გამოსვლისას, ჩხარტიშვილმა ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლებიც Covid-19-ის პირობებში ქალ მეწარმეებს შეექმნათ, ასევე განიხილა თუ რამდენად წარმატებით მოხდა ამ გამოწვევების დაძლევა და რა მექანიზმების შემუშავებაა საჭირო პანდემიის პირობებში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

გაეროს ფორუმი ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე





ბოლო წლებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული განვითარების მიუხედავად, რეგიონში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერება მაინც დაბალია, სწორედ ამიტომ, გაეროს ფორუმი ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე წელს მეცხრედ ჩატარდა. ფორუმის ფარგლებში რეგიონის მთავრობების, კომპანიებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმსჯელეს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სფეროში არსებული გამოწვევებისა და მათი დაძლევის წარმატებული გზების შესახებ.

საქართველოს სახელით ფორუმში მონაწილეობა მიიღო გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ქვეყანაში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების გასაუმჯობესებლად გატარებული რეფორმების შესახებ. ზურაბიშვილმა განიხილა მედიაციის, როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის ალტერნატიული გზის მნიშვნელობა, მისი უპირატესობები და ეფექტურობა. მისი თქმით, 2020 წლის იანვარში მედიაციის კანონის ამუშავების შემდეგ, ამ გზით განხილული 350 საქმიდან 60-70% წარმატებით მოგვარდა და მათი დიდი ნაწილი სწორედ შრომით დავებს ეხებოდა, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. გამოსვლისას, ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს სახალხო დამცველის როლს დისკრიმინაციის მსხვერპლთა დახმარებაში და კომპანიების მიერ მათი შიდა საჩივრების მექანიზმების დახვეწის აუცილებლობას.

კითხვა-პასუხის ნაწილში, ზურაბიშვილმა ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომლებიც გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფმა გასცა საქართველოში ვიზიტისას და აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციების ინტეგრაცია 2021-2030 წლების ადამიანის უფლებების სტრატეგიაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სასამართლო და არასასამართლო საჩივრების მექანიზმების ეფექტურობას.

2020 წლის ფორუმის მიზანი იყო ადამიანის უფლებების მიმართ კორპორაციული პასუხისმგებლობის ამაღლება და სამუშაო ადგილას დისკრიმინაციის მსხვერპლთა მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების შესახებ ცნობიერების გაზრდა.



ხარკოვის საერთაშორისო ონლაინ ფორუმი

24 სექტემბერს, გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა სამუშაო ჯგუფის თანაორგანიზატორობით, ხარკოვის საერთაშორისო ონლაინ ფორუმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, უკრაინის, პოლონეთის, ხორვატიის წარმომადგენლები იღებდნენ. ღონისძიების მოწვეულ სპიკერებს შორის იყო გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელი სალომე ზურაბიშვილი.

ფორუმის თემა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ამჟამინდელი მდგომარეობა იყო; ღონისძიებაზე სპიკერებმა ისაუბრეს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების-ბიზნესი და ადამიანის უფლებების შესახებ განხორციელების პროგრესსა და გამოწვევებზე; ასევე, საუბარი შეეხო ყველა იმ დაინტერესებული მხარის ჩართულობის მნიშვნელობას [ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება, მთავრობა, აკადემია], რომლებიც ადგილობრივ დონეზე ხელს უწყობენ ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და სტანდარტების დანერგვას.

სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს მაგალითზე, ისაუბრა იმ მიღწევებსა და გამოწვევებზე, რომლებიც ამ მიმართულებით აქვს ქვეყანას. მან ყურადღება გაამახვილა მთავრობასთან, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებების სამდივნოსთან, აქტიური თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, რომელმაც 2016 წელს მხარი დაუჭირა სიდას ინიციატივასა და რეკომენდაციას - ადამიანის უფლებების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ინტეგრირებული ყოფილიყო თავი ,,ბიზნესი და ადამიანის უფლებები”.



გაეროს ინიციატივებში მონაწილეობა

SDG პიონერი

გაეროს გლობალური შეთანხმების ორგანიზებით, ყოველწლიურად ტარდება კონკურსი - SDG პიონერი. კონკურსი გამოავლენს ახალგაზრდა ლიდერებს, რომლებიც მუშაობენ ბიზნეს სექტორში და თავისი საქმიანობით ხელს უწყობენ მათი კომპანიის პასუხისმგებლიან საქმიანობას და ქვეყნის მდგრად განვითარებას.

2020 წელს საქართველოში კონკურსი მეორედ ჩატარდა. კონკურსის ადგილობრივი რაუნდის გამარჯვებული აჭარა ჯგუფის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვალერი ჩეხერია გახდა, რომელიც 2021 წელს გლობალურ რაუნდში გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

SDG Ambition

პროგრამა „SDG Ambition“ გაეროს გლობალური შეთანხმების ახალი ინიციატივაა და წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ახალ სისტემას. პროგრამის მიზანია ბიზნესისთვის მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება, მდგრადი განვითარების მიზნებისა და გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის კომპანიების ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრაციის მიზნით.

გაეროს გლობალური შეთანხმების წევრმა 60-მა ქვეყანამ მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო პროგრამა „SDG Ambition“. პროგრამის დახმარებით კომპანიები შეძლებენ მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას თავიანთ საქმიანობაში, რითიც ხელს შეუწყობენ გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულებას.

პროგრამის მთავარი კომპონენტები: ამბიციური მიზნები და ამოცანები, ინოვაციური ტექნოლოგიები, მიდგომების ინტეგრაცია.

პროგრამაში გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრი 12 კომპანია (24 მონაწილე) იღებს მონაწილეობას. პროგრამის ხანგრძლივობაა 6 თვე.

ვებინარების სერია: ბიზნესი და COVID-19

2020 წლის პირველ ნახევარში, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, აქტივობების ნაწილი ონლაინ სივრცეში გადავიდა. დაიგეგმა ვებინარების სერია, სადაც ბიზნესისთვის და საზოგადოებისთვის საინტერესო ადგილობრივი და საერთაშორისო სპიკერები საუბრობდნენ პანდემიის ფონზე შექმნილ გამოწვევებზე და მათი დაძლევის გზებზე.

ვებინარები ჩატარდა შემდეგ თემებზე:

- „ღია დისკუსია: ბიზნესი VS Covid-19“ - თინათინ სტამბოლიშვილი (ჯიპიაი ჰოლდინგი), ვალერი ჩეხერია (აჭარა ჯგუფი), ნინო ზამბახიძე (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია), ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი (ეფეს საქართველო), ლევან ახვლედიანი (ორიენტ ლოჯიქი)
- „როგორ გავიუმჯობესოთ ემოციური გამძლეობის უნარი” - ნინო ბერუაშვილი, ქოუჩი და სერტიფიცირებული ტრენერი.
- „შეესაბამება თუ არა თქვენი ბრენდი იმ რეალობას, რომლის წინაშეც მომხმარებლები დგანან?“ - პოლ გარისონი, მაასტრიხტის მარკეტინგის სკოლის პროფესორი და კოკა-კოლა უნგრეთის ყოფილი მმართველი დირექტორი.
- „ბიზნესკომუნიკაციის სირთულეები კრიზისის დროს - როგორ მოვხსნათ შიში და არ მივიყვანოთ საქმე შფოთვამდე?“ - ელენე კვანჭილაშვილი Forbes Georgia-ს აღმასრულებელი რედაქტორი და ტელეწამყვანი.
- „კორპორაციული პასუხისმგებლობა და კორპორაციული საერთო ღირებულება: კრიზისამდე, კრიზისის დროს და კრიზისის შემდეგ“ - ოლივერ ოლსონი, მაასტრიხტის მენეჯმენტის სკოლის პროფესორი.
- „როგორ პასუხობს ფინანსური სექტორი Covid-19 პანდემიას საქართველოში“ - არჩილ ბაკურაძე, კრისტალის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ლევან ყულიჯანიშვილი, საქართველოს ბანკის დირექტორის მოადგილე.
- „ეს რომ გვცოდნოდა?! კრიზისის მართვის 13 წესი“ - ნუცა სუბელიანი, ჯეპრას უფროსი კონსულტანტი.

- „დავის გადაწყვეტის უალტერნატივო მექანიზმი ბიზნესისთვის: მედიაცია“ - ირაკლი ყანდაშვილი, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე.
- „გარემოს დაცვა პოსტ-კრიზისულ პერიოდში და ბიზნესის როლი“ - ნინო თანდილაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.
- „კრიზისი, როგორც შესაძლებლობა“ - გელა მღებრიშვილი - Nexia TA-ს მმართველი პარტნიორი, ნინო დევდარიანი - MBC-ს რისკების მართვის დირექტორი

აპრილი - ივნისის პერიოდში ჯამში 10 ვებინარი გაიმართა. ვებინარებს ესწრებოდნენ, როგორც გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული პირები.

აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ მაღალი დონის საერთაშორისო სპიკერების მონაწილეობით საერთაშორისო ვებინარების სერია გამართა, რომელზე დასწრების საშუალებაც ინიციატივის ყველა წევრს ჰქონდა, მათ შორის საქართველოდან.

ცნობიერების ამაღლება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

პროექტების მართვის ტრენინგი

10 მარტს, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრებისთვის გაიმართა პროექტების მართვის ტრენინგი, რომელსაც სერტიფიცირებული ტრენერი ნინო გორგაძე უძღვებოდა.

ტრენინგზე პროექტის მართვისთვის საჭირო საფეხურები განიხილეს, მათ შორის ბიუჯეტის შედგენა, რისკების მართვა და პროექტის განხორციელების მონიტორინგი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროგრამული ინსტრუმენტების გამოყენების მნიშვნელობას.

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

საჯარო ლექცია

19 ნოემბერს, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი B N T U-ის პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ჩატარდა ონლაინ საჯარო ლექცია „კორპორაციული პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და პრაქტიკა საქართველოში“.

ლექცია ჩაატარა გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა, რომელმაც დამსწრე აუდიტორიას კორპორაციული პასუხისმგებლობის საფუძვლები გააცნო და საქართველოს ამ დარგის განვითარებაზე ესაუბრა.

კომპანიების სენსიტიზაცია შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებით

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელისა და ასოციაცია ,,ანიკას“ ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა „კომპანიების სენსიტიზაცია შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებით.“

- როგორ მოვახდინოთ სწორი კომუნიკაცია შშმ პირებთან;
- როგორ შეუძლია ბიზნესს ხელი შეუწყოს შშმ პირთა გაძლიერებას;
- როგორ დავუკავშირდეთ შშმ პირებს და როგორ გავეცნოთ მათ ინტერესებს - ამ და სხვა თემებ-თან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრის ფორმატში, კომპანიების წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების შესაძლებლობებზე და მოისმინეს წარმატების ისტორიები.

„ანიკას“ გამოცდილება აჩვენებს, რომ შშმ პირები ძირითადად შემდეგ პოზიციებზე საქმდებიან: კონსულტანტი, მთარგმნელი, მკერავი, ტუროპერატორი, ქოლცენტრის ოპერატორი, დიასახლისი, მებაღე.

შეხვედრა შრომის კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ

14 სექტემბერს, გაიმართა შეხვედრა პარლამენტის წევრთან და შრომის კოდექსში ცვლილებების ინიციატორთან დიმიტრი ცქიტიშვილთან.

ცქიტიშვილმა კომპანიების წარმომადგენლებს ის ძირითადი ცვლილებები გააცნო, რომელსაც ახალი შრომის კოდექსი ითვალისწინებს.



შრომის კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილებები:

შრომის ინსპექცია

შრომის კოდექსი ითვალისწინებს აღსრულების ეფექტიან მექანიზმებს, მათ შორის ძლიერი და დამოუკიდებელი შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნას.

დისკრიმინაცია

ახალი შრომის კოდექსის მიხედვით დადგინდა უფრო ქმედითი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები. ეს ნაწილი ეხება ქალსა და მამაკაცს შორის არათანაბარი ანაზღაურების საკითხსაც, ამჟამად ქალსა და კაცს შორის ანაზღაურებას შორის სხვაობაა 38%. ახალი კანონით, თანაბარი შრომისთვის უნდა იყოს თანაბარი ანაზღაურება.

სამუშაო დრო

ნორმირებული სამუშაო დრო - კვირაში 40 საათითაა განსაზღვრული. ზეგანაკვეთური სამუშაო დასაშვები იქნება მხოლოდ დასაქმებულის თანხმობითა და წინასწარი შეთანხმებით და ის არ უნდა იყოს ნორმირებული ანაზღაურების 125%-ზე ნაკლები.

თანამშრომლობა

დამსაქმებელი ვალდებულია, ხელი შეუწყოს დასაქმებულთან კონსულტაციების გამართვას. დადგინდა ინფორმაციის მიწოდების და კონსულტაციების გამართვის ვადები და პროცედურები.

სტაჟირება

სტაჟიორი ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, ასრულებს გარკვეულ სამუშაოს იმისათვის, რომ: აიმაღლოს კვალიფიკაცია და პროფესიული ცოდნა, შეიძინოს პროფესიული უნარები ან პრაქტიკული გამოცდილება და ჰქონდეს ვადებით განსაზღვრული დასაქმების ხანგრძლივობა. ახალი კანონპროექტის მიხედვით, სტაჟირების გავლის წესი და ვადები იქნება მკაცრად განსაზღვრული.

კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2020

საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს კონკურსი წელს მესამედ ჩატარდა. კონკურსი მიზნად ისახავს ქვეყანაში კორპორაციული პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებას და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში ბიზნესის ჩართულობის წახალისებას.

სიღარიბის აღმოფხვრა; ხარისხიანი განათლება; ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; გონივრული მოხმარება და წარმოება; პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის – ეს ის კატეგორიებია, რომლებშიც გამარჯვებული კომპანიები 6 ნოემბერს გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ.

წელს პირველად დაჯილდოვდნენ მედიის წარმომადგენლებიც, რომლებმაც კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად საკონკურსო მასალები მოამზადეს. კონკურსში 20-მდე ჟურნალისტი მონაწილეობდა, ხოლო გამარჯვებულები გამოვლიდნენ შემდეგ კატეგორიებში:

- საუკეთესო სატელევიზიო/რადიო სიუჟეტი;
- საუკეთესო საგაზეთო/ინტერნეტ სტატია.

ცერემონიის ბოლოს გამოვლინდა SDG პიონერი - აჭარა ჯგუფის დირექტორთა საბჭოს წევრი ვალერი ჩეხერია.

ნომინაციები და გამარჯვებულები:

- სიღარიბის აღმოფხვრა - აჭარა ჯგუფი
- ხარისხიანი განათლება - სილქნეტი.
- ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა - ეფეს საქართველო.
- მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა - ალდაგი.
- გონივრული მოხმარება და წარმოება - კრისტალი.
- პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის - HG, კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი, უკეთესი მომავლისთვის.
- მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის - ოლიკო ცისკარიშვილი (ეკოფაქტი), ეკა გაზდელიანი (საზოგადოებრივი მაუწყებელი).

წელს, კონკურსზე 70-ზე მეტი განაცხადი შემოვიდა. განაცხადები შეაფასეს საერთაშორისო და ადგილობრივი ჟიურის წევრებმა.

კორპორაციული მდგრადობის აკადემია

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივით, 2021 წელს სტარტს აიღებს კორპორაციული მდგრადობის აკადემია, რომელიც ბიზნესის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს სასერტიფიკატო კურსებს პასუხისმგებლიანი და მდგრადი ბიზნესის მართვის შესახებ. იქამდე კი აკადემიის ლექტორთა ჯგუფი შეიკრიბა, რათა ერთად ემსჯელათ სასწავლო პროგრამისა და მომავალი სტუდენტებისთვის საინტერესო შეთავაზებების შესახებ.

სასერტიფიკატო კურსი შვიდი ძირითადი მოდულისგან შედგება და აკადემიის სტუდენტებს გააცნობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორებიცაა:

- კორპორაციული მდგრადობის შესავალი
- ეთიკა და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება
- ეთიკური ლიდერობა და ადამიანური რესურსების მდგრადი მართვა
- მდგრადობა
- მდგრადი კორპორაციული მმართველობა
- კორუფციასთან ბრძოლა
- კომუნიკაცია და ანგარიშგება

პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

2020 წლის განმავლობაში, GCNG აქტიურად უწყობდა ხელს მულტისექტორული პარტნიორული პროექტების განხორციელებას ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა მხარეების (მთავრობა, აკადემიური დაწესებულებები) ჩართულობით. მულტისექტორული პარტნიორული პროექტი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის ფორმას, რომელიც მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრისკენ; ამავდროულად, სარგებელი მოაქვს ბიზნესისთვის და კორპორაციულ მდგრადობას უწყობს ხელს.

GCNG-მ კონსულტაცია გაუწია ბიზნესებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შემდეგი მიმართულებებით:

- სამიზნე სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების შესაბამისად, თემატური მიმართულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების იდენტიფიცირება;
- საპროექტო განაცხადების, გეგმების, აქტივობების, განრიგის და ბიუჯეტის შედგენა;
- სრული საპროექტო გეგმების შედგენა, ასევე, იდეების და კონცეფციების დახვეწა;
- დაინტერესებული მხარეების გამოვლენის პროცესში და სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური დაწესებულებების, საჯარო ორგანიზაციების და ბიზნეს სექტორის პარტნიორების მოძიების მხრივ ჩართულობა და კონსულტირება;
- გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეებთან და პოტენციურ პარტნიორებთან კომუნიკაციის ფასილიტაცია;
- სოციალური და ბიზნეს გავლენის გაზომვაში კონსულტირება და დახმარება;

2020 წელს:

- შემუშავდა 20+ საპროექტო წინადადება და კონცეფცია;
- განხორციელდა 15+ მულტისექტორული ინიციატივა;
- შედგა 50+ კომპანიასთან კომუნიკაცია პარტნიორულ პროექტებთან დაკავშირებით;
- 20+ კომპანია ჩაერთო მულტისექტორული პროექტების შემუშავების და/ან განხორციელების პროცესში;
- 30+ არასამთავრობო, აკადემიური და სამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო პროექტების შემუშავების და/ან განხორციელების პროცესში.

განხორციელებული მულტისექტორული პროექტები:

- GCNG-ის, „HG“-ის, „ინკლუზიური საზოგადოება - საქართველოს“, „ჭიტასა“ და „ASB საქართველოს“ მულტი-სექტორული კამპანია: „დაინახე უსინათლო თანამოქალაქე,“ მიზნად ისახავდა უსინათლო და მცირემხედველი თანამოქალაქეების საჭიროებებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და სენსიტიზაციას. კამპანიის ფარგლებში, GCNG-მ კომპანიებს „HG”-ის მიერ წარმოებული ბიოდეგრადირებადი, კომპანიის ლოგოთი და კამპანიის სლოგანით გაფორმებული ჭიქები შესთავაზა. სულ გაიყიდა 13 000 ბიოდეგრადირებადი ჭიქა და შეგროვდა თანხა „ინკლუზიური საზოგადოება საქართველოს“ ბენეფიციარებისთვის თეთრი ხელჯოხების შესაძენად.
- ასოციაცია “ანიკასა” და დასაქმების პორტალ hiro.ge-ს პარტნიორული პროექტი „შშმ პირთა მხარდაჭერითი დასაქმება“ მიზნად ისახავდა hiro.ge-ს ჩართულობით „ანიკას“ ბენეფიციარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კარიერულ უნარ-ჩვევებში გადამზადებას და დასაქმების ბაზრისთვის მომზადებას. პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა კომპანიას მიეწოდებოდა ინფორმაცია შშმ პირთა დასაქმების პრაქტიკულ ასპექტებთან დაკავშირებით და დაინტერესების შემთხვევაში, „ანიკა“ მათ უზიარებდა ბენეფიციარი პირების CV-ებს მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.
- GCNG-ის წევრმა კომპანია “HG”-მ COVID-19 პანდემიაზე საპასუხოდ ერთჯერადი და მრა-

ვალჯერადი პირბადეების წარმოება დაიწყო და განახორციელა პარტნიორული პროექტი, რომლის ფარგლებში გორში და წეროვნის დასახლებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან (“კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი,” „უკეთესი მომავლისთვის“) თანამშრომლობით პირბადეები მოწყვლადი ჯგუფების 500-მდე წარმომადგენელს გადასცა. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში 30-მდე იძულებით გადაადგილებული ქალი მკერავად დასაქმდა. აღნიშნულ პროექტს GCNG-ის მიერ ინიცირებული კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო - 2020 გადაეცა.

- სარემონტო კომპანია „რინოქსმა“ შეიმუშავა კორპორაციული პასუხისმგებლობის ინიციატივა Rinox Support, რომლის ფარგლებში ახორციელებს პრაქტიკაზე დაფუძნებული რემონტის სწავლების პროგრამას სოციალურად დაუცველი, შშმ, პრობაციონერი და სხვა მოწყვლადი ახალგაზრდებისთვის. პროექტის პირველი ნაკადისთვის სულ 7 ახალგაზრდა შეირჩა. ბენეფიციარების მოძიების მიზნით კომპანიამ, GCNG-ის მხარდაჭერით, პარტნიორობა როგორც არასამთავრობო, ასევე საჯარო სექტორთან განახორციელა. პროგრამის შედეგად, ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ გრძელვადიანად დასაქმდნენ სარემონტო სფეროში.
- 2020 წლის თებერვლიდან, ფონდი „ბილივი“ GCNG-სთან თანამშრომლობით, სხვადასხვა მულტისექტორულ პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე მუშაობს. 2020 წლის განმავლობაში, პარტნიორობა და თანამშრომლობა შედგა ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა MSC Georgia, ფოთის პორტი, კომპანია “Lab”, სან-დიეგოს უნივერსიტეტი, „კრისტალი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ჰირო“. შემუშავდა ინიციატივები ქ. ფოთში არაფორმალური განათლებისა და STEM სფეროს პოპულარიზაციის მიზნით და პანდემიის პერიოდში მარტოხელა მოხუცებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად.
- „ანიკა“ და „კოდალა“ - პარტნიორობის ფარგლებში „ანიკა” დაეხმარა ,,კოდალას” სამი შშმ პირის დასაქმებაში. პარტნიორობა მოიცავდა შშმ პირებისა და კომპანიების მომზადებას ინტერვიუებისთვის, საინფორმაციო შეხვედრებს კომპანიებთან შშმ პირების დასაქმების საკითხზე და შერჩეული შშმ პირების მხარდაჭერას უშუალოდ დასაქმების პროცესში.
- „ანიკა” და MBC - შშმ პირის დასაქმება და სამუშაო გარემოს ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებზე. პარტნიორობა მოიცავდა შშმ პირებისა და კომპანიების მომზადებას ინტერვიუებისთვის, საინფორმაციო შეხვედრებს კომპანიებთან შშმ პირების დასაქმების საკითხზე და შერჩეული შშმ პირების მხარდაჭერას უშუალოდ დასაქმების პროცესში.

- „საფარი“ და ჰილტონ ბათუმი, გაგუას კლინიკა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი - სამუშაო ადგილას გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრა. ,,საფარი” დაეხმარა GCNG-ის წევრ კომპანიებს ბიზნეს პოლიტიკასა და ოპერაციებში გენდერული თანასწორობის დებულებების ინტეგრაციაში. ორგანიზაციამ გამართა ტრენინგები აღნიშნული კომპანიების თანამშრომლებთან და შემდგომში დაეხმარა მათ გენდერული თვალსაზრისით შიდა პოლიტიკის გადახედვაში. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა და გაგუას კლინიკამ უკვე დაიწყეს მუშაობა სპეციალური მექანიზმების მიღებაზე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.
- GCNG-მ ფასილიტაცია გაუწია ოთხ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასა (ანიკა, კოდალა, SOS ბავშვთა სოფელი, Art Inception Edu) და ორ კომპანიას (ჩიკატაი, სპილოუ) შორის თანამშრომლობას შშმ პირებსა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებში ხელსაქმის უნარ-ჩვევების განსავითარებლად. SOS ბავშვთა სოფელმა, Art Inception Edu-მ და სპილოუმ ჩაატარეს ონლაინ ვორქშოპები მზუნველობამოკლებული და შშმ ბავშვებისთვის და ასწავლეს მათ მეორადი მასალებისგან სათამაშოების დამზადება. ასევე ჩატარდა შეხვედრები, სადაც ბავშვებმა შეისწავლეს პლასტმასის ბოთლებისგან ვაზების და მეორადი მასალებისგან პირბადეების დამზადება. სპილოუმ ბენეფიციარები საჭირო მასალებითაც მოამარაგა. ინიციატივის მეორე ეტაპზე, კომპანიები გეგმავენ მოკლე სასწავლო ვიდეოების ჩაწერას სამიზნე ჯგუფებისთვის.
- ორი პროექტი, საგზაო უსაფრთხოების და შშმ პირების IT შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, დაგეგმვის პროცესშია. GCNG ფასილიტაციას უწევს პარტნიორობას ,,ანიკასა” და სხვადასხვა ტექ-კომპანიას („HT Solutions”, „Mindworks LLC“, „Edison Tech“ „FINA LLC“ „Orient Logic,” „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი”) შორის. თანამშრომლობის ფარგლებში სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები შშმ პირებისთვის ჩატარდება 32 ტრენინგი IT თემატიკაზე. ამჟამად მიმდინარეობს კომუნიკაცია ზემოთხსენებულ კომპანიებთან და ერთობლივი Zoom შეხვედრა 2021 წლის დასაწყისში იგეგმება.

ჩვენ და მედია

ჟურნალი Sustainability Spotlight

პირველად საქართველოში, კორპორაციული მდგრადობის თემაზე, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ, გამოიცემა ორენოვანი ჟურნალი SUSTAINABILITY SPOTLIGHT, რომლის მიზანი პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების გამოვლენა იქნება.

ჟურნალში, ასევე, წარმოდგენილი იქნება მთავრობის ხედვა, ინიციატივები და საქმიანობა მდგრადობის საკითხებზე, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხედვა ამ მიმართულებით და კორპორაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული საინტერესო სიახლეები.

ჟურნალის გავრცელება მოხდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორისაა: ბიზნეს სექტორი, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები; სამთავრობო სტრუქტურები, საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ჟურნალის პირველი ნომერი, რომელიც ბიზნესზე კორონავირუსის გავლენას ეხება, 2021 წლის დასაწყისში გამოვა, ხოლო შემდეგი ნომერები კვარტალური სიხშირით გამოიცემა.

GCNG მედიაში

2020 წელს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა ორ წამყვან ბიზნესგადაცემასთან - საქმიანი დილა და ბიზნესპარტნიორი - ითანამშრომლა. თანამშრომლობის ფარგლებში შედგა 20-მდე გადაცემა ორგანიზაციის ხელმძღვანელის, სალომე ზურაბიშვილის თანაწამყვანობით და რუბრიკა კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიზნების საკითხების მნიშვნელობაზე.

გარდა ამისა, 3 თვის მანძილზე, ორგანიზაციის თანამშრომლების ჩართულობით, ბიზნესპარტნიორის რადიო გადაცემის ეთერში და ონლაინ გამოცემა Caucasus Business Week-ში, მიმოხილული იყო კორპორაციულ მდგრადობასთან დაკავშირებული თანამედროვე ტენდენციები, გამოწვევები და სექტორებს შორის თანამშომლობის შესაძლებლობები.

აღნიშნული თანაშრომლობის გარდა, ორგანიზაციის აქტივობები წარმოჩენილი იყო წამყვან მედიასაშუალებებში, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონულ მედიაში.

GCNG მედიაში





UN GLOBAL COMPACT
Network Georgia

შვედეთი
Sverige

This report has been published by Global Compact Network Georgia with the assistance from the Swedish Government.

globalcompact.ge
GCNGeorgia
gcngeorgia
CompactGeorgia
globalcompactgeorgia
info@globalcompact.ge